PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 29/10-14-1

ქ. თბილისი

29 ოქტომბერი 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის სახით, და მეორე მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა" და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" დებულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესის გამოყენებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი" – იურიდიული პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება საქონლის მიღების შემდეგ.
1.7. შესყიდვის კატეგორია - CPV 31400000.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსყიდველს მიაწვდის ორ ერთეულ აკუმულატორს (ერთ ერთეულ აკუმულიატორს ვარტა ბლექ 45 ა/ს ბ-19, ერთ ერთეულ აკუმულიატორს ვარტა ბლექ 95 ა/ს გ-7) (შემდგომში ,,საქონელი"), ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული საქონლის საფასურს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 410 (ოთხას ათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის - ორ ერთეულ აკუმულატორს (ერთ ერთეულ აკუმულიატორს ვარტა ბლექ 45 ა/ს ბ-19 - 115 ლარი, ერთ ერთეულ აკუმულიატორს ვარტა ბლექ 95 ა/ს გ-7 - 295 ლარი) მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5.
4.2. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. ანგარიშფაქტურაში მითითებული უნდა იყოს გაწეული საქონლის ღირებულება.

6. სტანდარტები და გარანტია

6.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი საქონლის მიწოდებას, ერთქლიანი გარანტიით.
6.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების მიწოდებას 2014 წლის 31 დეკემრამდე.

7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება და ინსპექტირება (კონტროლი);
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) და შემოწმება.

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ან/და მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პირს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის (ინსპექტირების) და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს გრიგოლ სულუხიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.3. მხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.6. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
10.7. ამ მუხლის 10.6. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე შემსყიდველის მიერ გარკვეულია, რომ შემსყიდველის მიერ არ არის დარღვეული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის დებულებები.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია"
კომისიის თავმჯდომარე
ვახტანგ აბაშიძე

_____

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან
წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდ.კოდი: 204953050
სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: 220101830
ა/ა: GE11PB0600000000609326

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"
გენერალური დირექტორი
თემურ კოხოძე

_____

მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის
ხეივანი, მე-12 კმ, №5
საიდ.კოდი: 202177205
სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

HOLDING COMPANY

Шპს "თეგეტა მოტორსი", საქართველო, 0131 ქ. თბილისი

100244
საქ.კომუნიკაციების ეროვ.კომისია
204953050

03

ინვოისი

ნომერი / თარიღი
2002025177 / 29.10.2014
შეკვეთის ტიპი
გადარიცხვის შეკვეთა
მაღაზია / პასუხისმგებელი პირი
ცენტრალური-მსუბუქი / D.DOLBAIA
შენიშვნა

ინვოისი ძალაშია გამოწერიდან სამი სამბანკო დღის განმავლობაში!

№	კოდი	დასახელება არტიკული		რაოდენობა	ფასი	ღირებულება
10	20300067	აკუმულატორი ვარტა ბლექ	45 ა/ს B-19	1ც	115,00 GEL	115,0
20	20300043	აკუმულატორი ვარტა ბლუ	95 ა/ს G-7	1ც	295,00 GEL	295,0
				ჯამი		**410,00** GE
				მათ შორის დღგ		62,54 GE

მიმღების საბანკო რეკვიზიტები: შპს "თეგეტა მოტორსი", აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N 5, ს/ა: 202177205

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

-29 ოქტომბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

მიღება – ჩაბარების აქტი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის 2014 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „თეგეტა მოტორსის“ წარმომადგენელმა ჩააბარა, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი .

ჩაიბარა

ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან

ჩააბარა

„თეგეტა მოტორსიდან“